თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 5 ოქტომბერი
მორიგი სხდომის
ოქმი № 15

ქ. თერჯოლა

5 ოქტომბერი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემურ ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალი ისაკაძე, 12. შალვა ჭანკვეტაძე, 13. გრიგოლ გიორგაძე, 14. გოჩა ვერულაშვილი, 15. დავით გოგბერაშვილი, 16. თამარ ახვლედიანი, 17. ფრიდონ გვენეტაძე, 18. დავით ცხადაძე, 19. ნატალია ასათიანი, 20. კობა კირკიტაძე, 21.მერაბი ბასილაძე, 22. ტარიელ ფანჩულიძე, 32. რუსუდან კოვზირიძე, 24. ივანე ჩუბინიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ომარი ჯიხვაშვილი, 2. ელისო მურადაშვილი, 3. მანუჩარ ფანჩულიძე, 4. კახა ბუცხრიკიძე, 5. რამინი რობაქიძე, 6. როლანდი მესხი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 24 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 00 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 40 სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282225687, 13.09.2022);

მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282227667, 03.10.2022 წ.);

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსების 2022 წლის პრგრამის დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.29220145 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282226549, 22.09.2022 წ);

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკისონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ„ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.292201410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282226549, 22.09.2022 წ);

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზებო ობიეტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282227637, 03.10.2022 წ.);

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282227636 , 03.10.2022 წ);

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (რუსთაველის ქ. №69-ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. 33.09.33.192) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრისათვის გადაცემა) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282227635 , 03.10.2022 წ);

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

8. ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის 2021 წლისა და 2022 წლის 1 სექტემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში.

მომხს.: ი. ჩხეიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75, 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 და 2022 წლის 26 იანვრის №131 განკარგულებებში შესული ცვლილებების საფუძველზე შევიდა ცვლილება თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში 2022 წლის 2 სექტემბრის № ბ28.28222454 მერის ბრძანებით:

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 427.4 ათასი ლარით(გრანტი) და შეადგენს 29534.1 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 128.5 ათასი ლარით (გრანტი, სატენდერო ეკონომია).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 555.9 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 128.5 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება შემცირდა 128.5 ათასი ლარით(სატენდერო ეკონომია).

ხარჯვითი ნაწილი გზების კეთილმოწყობის დაფინანსება გაიზარდა 555.9 ათასი ლარით. სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების აღდგენა 545.0 ათასი ლარი და სოფელ გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის დაფინანსება გაიზარდა 10.9 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია .

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა არ შეცვლილა და შეადგენს 29534.1 ათას ლარს.

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 160.0 ათასი ლარით. მერიის დაფინანსება შემცირდა 80.0 ათასი ლარით. გზების დაფინანსება შემცირდა 70.0 ათასი ლარით (ეკონომიები). საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობის თანადაფინანსება შემცირდა 10.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 160.0 ათასი ლარით. მ/შორის:

სოფლის პროგრამების თანადაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით.

ა(ა)იპი თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 125.0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.

კულტურის სახლის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 , წინააღმდეგი - 6

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №16, 05.10.2022 წ.).).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსების 2022 წლის პრგრამის დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.29220145 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 1000 ლარი, გახარჯულია 500 ლარი, გაზრდილი მომართვიანობის გამო საჭიროა პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდოს 3000 ლარით (გადადის ეპილეფსია ან პარკისონით დაავადებულთა პროგრამიდან).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსების 2022 წლის პრგრამის დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.29220145 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29222785, 05.10.2022 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკისონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ„ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.292201410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტიდან (30000 ლარი) დარჩენილია 6900 ლარი, პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები დახმარებას წლის პირველ ნახევარში იღებენ, ამიტომ მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროგრამის ბიუჯეტიდან 3000 ლარი გადაიტანოს შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსების პროგრამაში.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკისონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ„ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №29.292201410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29222784, 05.10.2022 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - საპრივატიზებო ობიექტია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ორი ავტომანქანა ,,TOYOTA RAV 4" და ,,MITSUBISHI PAJERO" , ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ ავტომანქანები საჭიროებს მთელი რიგი დეტალების შეცვლას და სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, ამიტომ

მერიას ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს მათი ელექტრონული აუქციონით პრივატიზება.

,,TOYOTA RAV 4" – 125000 ლარი;

,,MITSUBISHI PAJERO" – 15500 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 , წინააღმდეგი - 6

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზებო ობიეტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29222782, 05.10.2022 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პრივატიზება ეხება მეორად სამშენებლო მასალებსა და დაზიანებულ რკინის სეიფებს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 , წინააღმდეგი - 6

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.2922278001, 05.10.2022 წ.).

7.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - რუსთაველის ქ. №69-ში მდებარე უძრავი ქონება (ს.კ. 33.09.33.192) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრს გადაეცემა ტურისტული - საინფორმაციო ცენტრის მოწყობის მიზნით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 , წინააღმდეგი - 6

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.2922278001, 05.10.2022 წ.).

8.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა ირაკლი ჩხეიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის 2021 წლისა და 2022 წლის 1 სექტემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: რუსუდან კოვზირიძემ, გრიგოლ გიორგაძემ, ნატალია ასათიანმა.

გადაწყვიტეს: დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის 2021 წლისა და 2022 წლის 1 სექტემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 ოქტომბრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი